გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება № 122

2020 წლის 11 სექტემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საკრებულოს საქმიანობის კვარტალურ სამუშაო გეგმას ადგენს საკრებულოს ბიურო კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მიხედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე შეიტანება საკითხი მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე შეადგინა საკრებულოს კვარტალური გეგმა, საჭიროა დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმა №1 დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით რაზმაძე

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხი	შესრულების დრო	საკითხის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი
1	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2020 წლის მაისიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში	ოქტომბერი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ლიანა ჩლაჩიძე.
2	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2020 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში	ოქტომბერი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია ზურაბ ყაჯრიშვილი
3	ა(ა)იპ კეთილმოწყობის სააგენტოს 2019 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში	ოქტომბერი	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია დავით გუდაძე
4	ა(ა) გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს სანერგე მეურნეობის და გამწვანების განყოფილების 2020 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია	ოქტომბერი	ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია მერაბ მელანაშვილი
5	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2020 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში	ნოემბერი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ლიანა ჩლაჩიძე
6	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს 2020 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში	ნოემბერი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია ზურაბ ყაჯრიშვილი
7	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტოს 2019 წლის დეკემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში	ნოემბერი	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია დავით გუდაძე

8	გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	ნოემბერი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ივანე კორინთელი
9	გორის მუნიციპალიტეტის მერის ეკონომიკური სამსახურის ქონების განყოფილების ანგარიში-2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;	ნოემბერი	ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია მერაბ მელანაშვილი
10	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში	დეკემბერი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ლიანა ჩლაჩიძე
11	გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2020 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში	დეკემბერი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია ზურაბ ყაჯრიშვილი
12	გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში	დეკემბერი	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია დავით გუდაძე
13	გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში	დეკემბერი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ივანე კორინთელი
14	გორის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის 2020 წელში გაწეული საქმიანობის ანგარიში	დეკემბერი	ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია მერაბ მელანაშვილი